

შეთანხმება

საქართველოს მთავრობასა და ყაზახეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ

საქართველოს მთავრობა და ყაზახეთის რესპუბლიკის მთავრობა, შემდგომში მხარეებად წოდებულნი, ადასტურებენ რა თავის მისწრაფებას ეკონომიკური ურთიერთთანამშრომლობის თავისუფალი განვითარებისაკენ, ითვალისწინებენ რა საქართველოსა და ყაზახეთის რესპუბლიკას შორის ჩამოყალიბებულ ინტეგრაციულ ეკონომიკურ კავშირებს, აღიარებენ რა, რომ საქონელსა და მომსახურების თავისუფალი გადაადგილება მოითხოვს ურთიერთშეთანხმებული ზომების განხორციელებას, ადასტურებენ რა საქართველოსა და ყაზახეთის რესპუბლიკის მხარდაჭერას ვაჭრობაზე და გარიფებზე გენერალური შეთანხმებისა (GATT) და მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის (WTO) პრინციპებისადმი.

შეთანხმდნენ შემდეგზე:

მუხლი 1

მხარეები, ხელმძღვანელობენ რა თანასწორუფლებიანობის, ურთიერთხელსაყრელობისა და დაინტერესებულობის პრინციპებით, განავითარებენ და გააფართოებენ სამეურნეო საქმიანობის სუბიექტებს შორის სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებს მათი საკუთრების ფორმების დამოუკიდებლად, პირდაპირი სამეურნეო კავშირების საფუძველზე მხარეთა სახელმწიფოებში მოქმედი საკანონმდებლო აქტების გათვალისწინებით.

თითოეული მხარე თავს იკავებს იმ ქმედებებისაგან, რომლებსაც შეუძლიათ ეკონომიკური ზარალის მიყენება მეორე მხარისათვის.

მუხლი 2

1. მხარეები არ იყენებენ ექვივალენტური მოქმედების მქონე საბაჟო გადასახადებს, ბეგარასა და ასაკრებლებს, საბაჟო გაფორმებასთან დაკავშირებული ასაკრებლების გამოკლებით, აგრეთვე რაოდენობრივ შეზღუდვებს საქონლის ექსპორტსა და/ან იმპორტზე, რომელიც წარმოშობილია ერთ-ერთი მხარის საბაჟო ტერიტორიიდან და განკუთვნილია მეორე მხარის საბაჟო ტერიტორიისათვის. მოცემული სავაჭრო რეჟიმიდან საქონლის შეთანხმებული ნომენკლატურის მიხედვით ამოღებები ყოველწლიურად ფორმდება ოქმით.

2. ამ მუხლის 1 პუნქტის შესაბამისად მხარეები ყოველწლიურად შეიმუშავებენ და ათანხმებენ თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმიდან ამოღებათა საერთო ჩამონათვალს, აგრეთვე აღნიშნულ ამოღებათა გამოყენების მეთოდებს.

3. ამ შეთანხმების მიზნებისათვის და მისი მოქმედების პერიოდის განმავლობაში მხარეების სახელმწიფოთა საბაჟო ტერიტორიებიდან წარმოშობილ საქონელში იგულისხმება საქონელი, რომელიც დადგენილია წარმომშობი ქვეყნის განსაზღვრის წესებით, საერთაშორისო ნორმების შესაბამისად.

მუხლი 3

თითოეული მხარე არ განახორციელებს:

- ამ შეთანხმების მოქმედების ქვეშ მოხვედრილი საქონლის პირდაპირ ან არაპირდაპირ დაბეგვრას შიდა გადასახადებით ან მოსაკრებლებით, რომლებიც აღემატება იმ შესაბამის გადასახადებს ან მოსაკრებლებს, რითაც იბეგრება შიდა წარმოების ანალოგიური საქონელი ან მესამე ქვეყნებში წარმოშობილი საქონელი;
- მეორე მხარის ტერიტორიაზე წარმოშობილი საქონლის საწყობებში მოთავსების, გადატვირთვის, შენახვის, გადაზიდვის, აგრეთვე ანგარიშსწორებისა და გადარიცხვის მიმართ განსხვავებული წესების გამოყენებას, ვიდრე ისინი, რომლებიც ანალოგიურ შემთხვევაში გამოიყენება საკუთარი საქონლის ან მესამე ქვეყნიდან წარმოშობილი საქონლის მიმართ.

მუხლი 4

მხარეები ურთიერთვაჭრობაში თავს შეიკავებენ დისკრიმინაციული ზომების გამოყენებისაგან, ამ შეთანხმების ფარგლებში საქონლის ექსპორტსა და/ან იმპორტზე რაოდენობრივი შეზღუდვების ან ექვივალენტური ღონისძიებების შემოღებისაგან.

მხარეებს შეუძლიათ ცალმხრივად დაადგინონ რაოდენობრივი ან სხვა რაიმე სპეციალური შეზღუდვები, მაგრამ მხოლოდ ზომიერ ფარგლებში და მკაცრად განსაზღვრული ვადით.

მოცემულ შეზღუდვებს უნდა ჰქონდეთ განსაკუთრებული ხასიათი და შეიძლება გამოყენებულ იქნენ მხოლოდ GATT-სა და WTO-ს ფარგლებში მიღებული შეთანხმებებით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

მხარე, რომელიც ამ მუხლის შესაბამისად გამოიყენებს რაოდენობრივ შეზღუდვებს, შეძლებისდაგვარად წინასწარ წარუდგენს მეორე მხარეს სრულ ინფორმაციას სხენებული შეზღუდვების შემოღების ძირითადი მიზეზების, ფორმებისა და გამოყენების სავარაუდო ვადების შესახებ, რომლის შემდეგაც ინიშნება კონსულტაციები.

ამ მუხლის პირველ აბზაცში ნახსენები რაოდენობრივი შეზღუდვები, ასევე შეიძლება დადგინდეს მხარეთა ურთიერთშეთანხმებით და ყოველწლიურად გაფორმდეს ოქმით.

მუხლი 5

მხარეები არ დაუშვებენ საქონლის არასანქცირებულ რეექსპორტს, რომელთა ექსპორტის მიმართაც მათი წარმოშობის მხარე იყენებს საგარიფო და არასაგარიფო რეგულირების ზომებს.

მხარეები გაცვლიან საქონელთა სიას, რომელთა მიმართაც გამოიყენება საგარიფო და არასაგარიფო რეგულირების წესები.

ასეთი საქონლის რეექსპორტი მესამე ქვეყნებში შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ წერილობითი თანხმობითა და იმ პირობებებით, რომლებიც განსაზღვრულია სახელმწიფო უფლებამოსილი ორგანოს მიერ, რომელიც არის ამ საქონლის წარმოშობის ქვეყანა. ამ დებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში მხარე, რომლის ინტერესებიც დაირღვა, უფლებამოსილია ცალმხრივად შემოიღოს ზომები საქონლის გაზიდვის რეგულირებისათვის იმ მხარის ტერიტორიაზე, რომელმაც დაუშვა არასანქცირებული რეექსპორტი. არასანქცირებული რეექსპორტის შემთხვევაში საქონლის წარმოშობის მხარეს შეუძლია მოითხოვოს მიყენებული ზარალის კომპენსაცია და გამოიყენოს სანქციები.

ამ მუხლში რეექსპორტის ქვეშ იგულისხმება საქონლის გაგანა, რომელიც წარმოშობილია ერთი მხარის საბაჟო ტერიტორიიდან, მეორე მხარის მიერ ამ უკანასკნელის საბაჟო ტერიტორიის ფარგლებს გარეთ, მესამე ქვეყანაში ექსპორტის მიზნით.

მუხლი 6

მხარეებს შორის სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის ყველა ანგარიშსწორება და გადახდა უნდა განხორციელდეს მხარეების უფლებამოსილ ბანკებს შორის ანგარიშსწორების ორგანიზაციის შესახებ ბანკთაშორისი შეთანხმების შესაბამისად.

მუხლი 7

მხარეები რეგულარულ საფუძველზე გაცვლიან ინფორმაციას – კანონებისა და სხვა ნორმატიული აქტების შესახებ, რომლებიც დაკავშირებულია ეკონომიკურ საქმიანობასთან, მათ შორის ვაჭრობის, ინვესტიციების, დაბეგვრის, საბანკო და სადაზღვევო საქმიანობის საკითხებზე, სხვა საფინანსო მომსახურების, სატრანსპორტო და საბაჟო საკითხებზე, საბაჟო სტაგისტიკის ჩათვლით.

მხარეები დაუყოვნებლივ აცნობებენ ერთმანეთს ეროვნულ კანონმდებლობაში მომხდარი ცვლილებების შესახებ, რომლებსაც შეუძლიათ გავლენა მოახდინონ ამ შეთანხმების შესრულებაზე.

მხარეთა უფლებამოსილი ორგანოები ათანხმებენ ამგვარი ინფორმაციის გაცვლის წესს.

ამ მუხლის დებულებები არ იქნებიან:

განმარტებულნი, როგორც ნებისმიერი მხარის კომპეტენტურ ორგანოთა ვალდებულება წარადგინოს ინფორმაცია, რომელიც არ შეიძლება მიღებული იქნას კანონმდებლობით ან ერთ-ერთი მხარის ჩვეულებრივი ადმინისტრაციული პრაქტიკის დროს;

საფუძველი ინფორმაციის წარსადგენად, რომელმაც შეიძლება გახსნას რომელიმე სავაჭრო, სამეწარმეო, სამრეწველო, კომერციული ან პროფესიონალური საიდუმლო, ან სხვა ინფორმაცია, რომელთა გახსნა ეწინააღმდეგება მხარეთა სახელმწიფოებრივ ინტერესებს.

მუხლი 8

მხარეები ამ შეთანხმების მიზნებისათვის შეუთავსებლად მიიჩნევენ არაკეთილსინდისიერ საქმიან პრაქტიკას და ვალდებულებას იღებენ არ დაუშვან კერძოდ მაგრამ არა გამონაკლისად მისი შემდეგი მეთოდები, კერძოდ:

- ხელშეკრულებები საწარმოებს შორის, საწარმოთა გაერთიანებების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები და საქმიანი პრაქტიკის ზოგადი მეთოდები, რომლებიც მიზნად ისახავენ ხელი შეუშალონ ან შეზღუდონ კონკურენცია, ან დაარღვიონ მისი პირობები მხარეთა სახელმწიფოების ტერიტორიებზე;

- მოქმედებები, რომელთა მეშვეობით ერთი ან რამდენიმე საწარმო იყენებს რა თავის დომინირებულ მდგომარეობას ბლუდავს კონკურენციას მხარეების მთელ, ან მხარის სახელმწიფო ტერიტორიის მნიშვნელოვან ნაწილზე.

მუხლი 9

ორმხრივი ეკონომიკური ურთიერთობების საგარიფო და არასაგარიფო რეგულირების განხორციელებისას, სტაგისტიკური ინფორმაციის გაცვლისათვის,

საბაჟო პროცედურების ჩაგარებისათვის მხარეები გამოიყენებენ ერთიანი ცხრანიშნა საგარეოეკონომიკური საქმიანობის ნომენკლატურას /TH B3Δ/, რომელიც დაფუძნებულია საქონლის აღწერასა და საქონლის კოდირების ჰარმონიზირებულ სისტემაზე და ევროპის ეკონომიკური გაერთიანების კომბინირებულ საგარიფო-სტატისტიკურ ნომენკლატურაზე. ამასთანავე, მხარეები საკუთარი საჭიროებისათვის აუცილებლობის შემთხვევაში ანხორციელებენ სასაქონლო ნომენკლატურის განვითარებას ცხრანიშნიანი განზომილების ფარგლებს გარეთაც.

სავაჭრო ნომენკლატურით საეკალონო პირის შემოღება ხორციელდება ურთიერთშეთანხმებების საფუძველზე, შესაბამის საერთაშორისო ორგანიზაციებში არსებული წარმომადგენლობების მეშვეობით.

მუხლი 10

მხარეები თანახმანი არიან მასზედ, რომ თავისუფალი ტრანზიტის პრინციპის დაცვა წარმოადგენს ამ შეთანხმების მიზნების მიღწევის უმთავრეს პირობას და საერთაშორისო შრომის განაწილებისა და კოოპერირების სისტემაში მათი ჩართვის არსებით ელემენტს.

ამასთან დაკავშირებით, ყოველი მხარე უზრუნველყოფს თავის ტერიტორიაზე იმ საქონლის დაუბრკოლებელ ტრანზიტს, რომელიც წარმოშობილია მეორე მხარის და/ან მესამე ქვეყნის საბაჟო ტერიტორიიდან და განკუთვნილია მეორე მხარის და/ან ნებისმიერი მესამე ქვეყნისთვის, და მიაწოდებს ექსპორტიორებს, იმპორტიორებს ან გადამამუშავებლებს ტრანზიტის უზრუნველყოფისათვის არსებულ ყველა საჭირო საშუალებასა და მომსახურებას, რომლის შეთავაზების პირობები არ იქნება უარესი, ვიდრე პირობები, რომლებსაც სთავაზობენ იგივე სახის მომსახურებისა და საშუალებებისათვის, საკუთარ ან ნებისმიერ მესამე ქვეყნის ექსპორტიორებს, იმპორტიორებსა და გადამამუშავებლებს.

მხარეთა სახელმწიფოების ტერიტორიებზე გვირთის გავლის წესი და პირობები რეგულირდება გადაზიდვების საერთაშორისო წესების შესაბამისად.

მუხლი 11

ეს შეთანხმება არ ეწინააღმდეგება რომელიმე მხარის უფლებას, მიიღოს საერთაშორისო პრაქტიკაში მიღებული ზომები, რომლებსაც იგი თვლის აუცილებლად თავისი სასიცოცხლო ინტერესების დასაცავად, ან, რომლებიც ნამდვილად აუცილებელია იმ საერთაშორისო ხელშეკრულებების შესრულებისათვის, რომლის მონაწილეთაც იგი ითვლება ან განზრახული აქვს გახდეს, თუ ეს ზომები ეხება:

- ეროვნული თავდაცვის ინტერესებს;
- იარაღით, საბრძოლო მასალებითა და სამხედრო ტექნიკით ვაჭრობას;
- თავდაცვის საჭიროებებთან დაკავშირებულ წარმოებებისათვის კვლევას;
- იმ მასალებისა და დანადგარების მიწოდებას, რომელთა გამოყენება ხდება

ბირთვულ მრეწველობაში;

- სამოგადოებრივი მორალის, სამოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
- ინტელექტუალური ან სამრეწველო საკუთრების დაცვას;
- ოქროს, ვერცხლის ან სხვა ძვირფას ლითონებსა და ქვებს;
- ადამიანთა ჯანმრთელობისა და გარემოს დაცვას.

მუხლი 12

მესამე ქვეყნების მიმართ საექსპორტო კონტროლის შეთანხმებული პოლიტიკის გაგარების მიზნით, მხარეები ჩააგარებენ რეგულარულ კონსულტაციებს და მიიღებენ

ურთიერთშეთანხმებულ მომებს საექსპორტო კონტროლის ეფექტური სისტემის შესაქმნელად.

მუხლი 13

ამ შეთანხმების დებულებები ცვლიან მხარეთა შორის აღრე დადებული ორმხრივი შეთანხმებების დებულებებს იმ მომით, რომლითაც ისინი შეუთავსებელია მათთან, ან მათი იდენტურია.

მუხლი 14

მხარეთა შორის ამ შეთანხმების დებულებების გამოყენებასა და განმარტებასთან დაკავშირებული დავები გადაწყდება მოლაპარაკების გზით.

მხარეები ეცდებიან მოერიდონ კონფლიქტურ სიტუაციებს ურთიერთვაჭრობაში.

თითოეული მხარე უზრუნველყოფს, რომ მის ტერიტორიაზე არსებობდეს ეფექტური საშუალებები საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების შესრულების აღიარებისა და განხორციელებისათვის.

მუხლი 15

აუცილებლობის შემთხვევაში, მხარეთა თანხმობით, შეთანხმებაში შეიძლება შეტანილი იქნება ცვლილებები და დამატებები.

მუხლი 16

ეს შეთანხმება ძალაში შედის მხარეების მიერ შეთანხმების ძალაში შესვლისათვის აუცილებელი ყველა შიდასახელმწიფოებრივი პროცედურების შესრულების შესახებ შეგყობინებების ურთიერთგაცვლის თარიღიდან და ძალაში დარჩება ექვსი თვის გასვლამდე იმ დღიდან, როდესაც ერთ-ერთი მხარე წერილობით შეაგყობინებს მეორე მხარეს თავის განზრახვას შეწყვიტოს მისი მოქმედება.

შეთანხმების დებულებები მისი შეწყვეტის დღიდან გამოიყენება ორივე სახელმწიფოს საწარმოებისა და ორგანიზაციების კონტრაქტების მიმართ, რომლებიც დადებულია, მაგრამ არ არის შესრულებული მისი მოქმედების პერიოდში, არა უმეტეს ხუთი წლისა.

შესრულებულია ქ. ალმატიში, 1997 წლის 11 ნოემბერს, ორ ნამდვილ პირად, თითოეული ქართულ, ყაზახურ და რუსულ ენებზე, ამასთან, ყველა ტექსტს თანაბარი ძალა აქვს.

ამ შეთანხმების დებულებათა განმარტების მიზნებისათვის გამოიყენება ტექსტი რუსულ ენაზე.

საქართველოს მთავრობის
სახელით

ყაზახეთის რესპუბლიკის
მთავრობის სახელით

ოქმი

საქართველოს მთავრობასა და ყაზახეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ 1997 წლის 11 ნოემბრის შეთანხმებაში ცვლილებებისა და დამატებების შეგანის შესახებ

საქართველოს მთავრობა და ყაზახეთის რესპუბლიკის მთავრობა, შემდგომში “მხარეები”, შეთანხმდნენ საქართველოს მთავრობასა და ყაზახეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ 1997 წლის 11 ნოემბრის შეთანხმებაში (შემდგომში “შეთანხმება”) შეიგანონ შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

1. შეთანხმების მე-2 მუხლში:

პუნქტ 1-ში: სიტყვა “ყოველწლიურად” ამოღებულ იქნას:

დაემატოს სიტყვები “წარმოადგენს ამ შეთანხმების განუყოფელ ნაწილს”;

დაემატოს მეორე აბზაცი შემდეგი შინაარსით:

“მხარეები შეთანხმდნენ გააუქმონ ამოღებები თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმიდან, რომელიც გამოიყენებოდა საქართველოსა და ყაზახეთის რესპუბლიკის მიერ შეთანხმების მიხედვით, დანართში მოცემული საქართველოსა და ყაზახეთის რესპუბლიკას შორის თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმიდან ამოღებათა გაუქმების ეტაპობრივი გრაფიკის თანახმად”;

პუნქტი 2 ამოღებულ იქნას;

მე-3 პუნქტი ჩაითვალოს მეორე პუნქტად და ჩამოყალიბდეს შემდეგი რელაქციით:

“2. ამ შეთანხმების მიზნებისათვის და მისი მოქმედების პერიოდში, მხარეთა საბაჟო ტერიტორიებიდან წარმოშობილ საქონელში იგულისხმება საქონელი, რომლის წარმოშობაც განსაზღვრულია დსთ-ს მთავრობათა მეთაურების საბჭოს 2000 წლის 30 ნოემბრის გადაწყვეტილებით დამტკიცებული “საქონლის წარმოშობის ქვეყნის განსაზღვრის წესების” შესაბამისად”.

2. შეთანხმებას დაემატოს დანართი წინამდებარე ოქმის დანართის შესაბამისად.

წინამდებარე ოქმი წარმოადგენს შეთანხმების განუყოფელ ნაწილს და ძალაში შედის მხარეების მიერ ძალაში შესვლისათვის აუცილებელი შიდასახელმწიფოებრივი პროცედურების დასრულების შესახებ ბოლო წერილობითი შეტყობინების მიღების დღიდან.

შესრულებულია ქ. ქენევაში 2004 წლის 11 ნოემბერს ორ ნამდვილ ეგზემპლარად, თითოეული ქართულ, ყაზახურ და რუსულ ენებზე. ამასთან ყველა ტექსტს აქვს თანაბარი ძალა.

მხარეებს შორის უთანხმოების წარმოშობის შემთხვევაში წინამდებარე ოქმის დებულებათა განმარტების მიზნებისათვის გამოიყენება გექსტი რუსულ ენაზე.

საქართველოს მთავრობის სახელით

ყაზახეთის რესპუბლიკის მთავრობის სახელით

**საქართველოს მთავრობასა და ყაზახეთის რესპუბლიკის
მთავრობას შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ
1997 წლის 11 ნოემბრის შეთანხმებაში
ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ
ოქმის დანართი**

**საქართველოს მთავრობასა და ყაზახეთის რესპუბლიკის
მთავრობას შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ
1997 წლის 11 ნოემბრის შეთანხმების დანართი**

**საქართველოსა და ყაზახეთის რესპუბლიკას შორის ამოღებათა გაუქმების ეგაპობრივი
გრაფიკი**

საქონლის კოდი	საქონლის დასახელება	ამოღებათა გაუქმების ვადა
2203	ლუდი ალაოსი	2005 წლის 1 აპრილიდან
2205	ვერმუტები და ნაგურალური ღვინოები ყურძნის სხვა მცენარეული და არომაგიზირებული დამატებით	2005 წლის 1 აპრილიდან
2206	სასმელები დადუღებული სხვა (სიდრი ვაშლის ფერი (სიდრი მსხლის) სასმელი თაფლის) ნარევები დადუღებული სასმელებისაგან და დადუღებული სასმელების და უალკოჰოლო სასმელების ნარევები სხვაგან მიუთითებელი	2005 წლის 1 აპრილიდან
2207	სპირტი ეთლის არადენატურირებული სპირტის არანაკლებ 80 მოც. % კონცენტრაციით. სპირტი ეთლის და სხვა დენატურირებული სპირტები ნებსმიერი კონცენტრაციით	2006 წლის 1 აპრილიდან
24	თამბაქო და თამბაქოს სამრეწველო შემცველელები	2005 წლის 1 აპრილიდან
1701 99 100	თეთრი შაქარი	2005 წლის 1 აპრილიდან